საჯარო სამართლის იურიდიული პირი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის
სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ინოვაციების ლაბორატორიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

განხილული და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე:

ოქმი N5 22.05.2019 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: მანანა ღარიბაშვილი

IAKOB GOGEBASHVILI TELAVI STATE UNIVERSITY REPRESENTATIVE BOARD

თელავი

2019

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ინოვაციების ლაბორატორია (შემდგომში - „ლაბორატორია) წარმოადგენს საერთაშორისო პროექტ “ უნივერსიტეტსა და საწარმოს შორის ურთიერთობა შვილობილი კომპანიების ქსელის მეშვეობით“(UNISON) ფარგლებში დაარსებულ დამხმარე ერთეულს.

2. ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ლაბორატორიის მიზნები და ამოცანები

1. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის საკუთარი ინოვაციური ბიზნეს იდეებისა და პროექტების განვითარება და ხელშეწყობა;
2. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მიერ ლაბორატორიაში საკუთარი იდეების განხილვის უზრუნველყოფა;
3. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მიერ საკუთარი ინოვაციური იდეების განხორციელებით პროდუქციის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებაში ხელშეწყობა;
4. წარმოდგენილი ინოვაციური პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტში არსებული ტექნიკური მოწყობილობების საშუალებით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება;
5. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისათვის ბიზნეს მოდელების შექმნისა და მათი განხილვის უზრუნველყოფა;
6. სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

მუხლი 3. ლაბორატორიის ფუნქციები

1. ლაბორატორიის ფუნქციებია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის:

ა) ტექნიკური კონსულტაციისა და დახმარების გაწევა;

ბ) აგრარულ საკითხებთან დაკავშირებით (ნიადაგის ანალიზი, მისი ქიმიური შედგენილობა, მძიმე მეტალების განსაზღვრა, საკვები ელემენტების, მიკრო ორგანიზმების გამოკვლევა, მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების გამორკვევა, მოსავალში გადასული მძიმე მეტალების განსაზღვრა, მოსავალში დაგროვებული ნიტრატების განსაზღვრა, მცენარის მიერ საკვების შეთვისების განსაზღვრა,

სასოფლო- სამეურნეო ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების შესახებ რეკომენდაციების გაცემა) კონსულტაციების გაწევა;

გ) იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების გაწევა;

დ) ბიზნეს მოდელების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

ე) შეხვედრების ორგანიზება ბიზნეს სექტორთან შექმნილი პროდუქტის პოპულარიზაციის მიზნით;

ვ) პროდუქტის პატენტის მიღებაში ხელის შეწყობა.

მუხლი 4. ლაბორატორიის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ლაბორატორიისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სამეცნიერო კონსულტანტი/ები და ტექნიკური პერსონალი;

2. ლაბორატორიის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რექტორთან შეთანხმებით და ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე;

3. **ლაბორატორიის ხელმძღვანელი:**

ა) განსაზღვრავს ლაბორატორიის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

ბ) უზრუნველყოფს ლაბორატორიის მომსახურების განვითარებას;

გ) წარმართავს და ორგანიზებას უწევს ლაბორატორიის მუშაობას;

დ) საჭიროების შემთხვევაში ახდენს ტრენინგების ორგანიზებას;

ე) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის ორგანოებს ლაბორატორიაში კომერციული მიზნით შესასრულებელ სამუშაოთა კალკულაციას;

ვ) ასახავს ვებ-გვერდზე დაგეგმილ პროექტებსა და განხორციელებული საქმიანობის შედეგებს საზოგადოების დაინტერესებისა და ცალკეული იურიდიული თუ ფიზიკური პირების მოზიდვის მიზნით;

ზ) წარადგენს ანგარიშს ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

4. **ლაბორატორიის სამეცნიერო კონსულტანტი/ები:**

ა)სამეცნიერო კონსულტანტი/ების მოწვევა ხდება ლაბორატორიის ხელმძღვანელის წარდგინებით საჭიროებისა და მოთხოვნის მიხედვით. ბ)სამეცნიერო კონსულტანტი/ები უზრუნველყოფს შესაბამისი მიმართულების კვალიფიციურ საკონსულტაციო მომსახურეობას.

5. **ლაბორატორიის ტექნიკური პერსონალი.**

ა) ლაბორატორიის ტექნიკური პერსონალის მოწვევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ლაბორატორიის საჭიროების და მოთხოვნის მიხედვით.
ბ) ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფს ტექნიკური სახის დახმარების გაწევას.

მუხლი 5. ლაბორატორიის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ლაბორატორია სარგებლობს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული ქონებით.

მუხლი 6. ლაბორატორიის ფინანსები

ლაბორატორიის დაფინანსების წყაროებია:
ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;
ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

მუხლი 7. ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ლაბორატორიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.